საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
# საქპატენტი

ქ. მცხეთა "18" 03 2013 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 272/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2013 წლის პირველი მარტის N 71169/03 განაცხადით სს „ქართული ლუდის კომპანიის" (მის: მცხეთა, სოფ. საგურამო) წარმომადგენელმა ანა ვაჩაძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ხევსურული TRADITIONAL BEER" (რეგ. N 23472) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „ხევსურული TRADITIONAL BEER" (რეგ. N 23472) საქართველოში რეგისტრირებულია 18.03.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 18.03.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. სასაქონლო ნიშანზე „ხევსურული TRADITIONAL BEER" (რეგ. N 23472) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 174, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 18.03.2013).

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; სს „ქართული ლუდის კომპანიის" წარმომადგენელს ანა ვაჩაძეს (მის: სს „ქართული ლუდის კომპანია" მცხეთა, სოფ. საგურამო).

კანცელარია

ასლი დედანთან სწორია
„18" 03 201[illegible] წ.
ხელმოწერა


TRADITIONAL BEER


KHEVSURULI BEER
ხევსურული